1941

უფასო

სსრკ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

კრებული

№ 6–7 | წელიწადი მეხუთე | 1941 წ.

შინაარსი

1. ბრძანება № 2129—განათლების სახალხო კომისარიატისადმი 1941 წლ. 4 ივლისს . 2
2. მიმართვა ავტ. რესპუბლიკების განსახკომებს და საოლქო და სარაიონო განათლების განყოფილების გამგეებს 3
3. ცირკულარულად—ავტ. რესპ. განსახკომებს, საოლქო-სარაიონო განათლ. განყოფილების და ყველა არასრულ საშუალო და საშ. სკოლის დირექტორებს 4
4. ცირკულარულად—თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტების დირექტორებს და ადგილობრივ კომიტეტებსა და სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარეებს 5
5. ცირკულარულად—ავტ. რესპ. განსახკომებს, ოლქის და რაიონის განს. განყოფილებებს, სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა პ/კავშირის ოლქ-კომებს, რაიკომებს და პროფრწმუნებულებს 6
6. ბრძანება № 1298—სიღნაღის რაიონის განს. განყოფილების მუშაობის შესახებ 8
7. ბრძანება № 1496 თბილისის ლენინისა და 26 კომისრის სახ. რაიონის განათლ. განყოფილებათა მუშაობის შესახებ 11
8. ბრძანება № 1837—1941-42 სასწავ. წლის დაწყების წინ მასწავლებელთა რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ 16
9. კონკურსი—3 და 4 კლასებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენაზე . . 18
10. ცირკულარულად—ავტ. რესპ. განსახკომებს, საოლქო და რაიონის განათლ. განყოფილებათა გამგეებს, დაწყ. არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს) 19
11. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ყველა მუშაკს 21
12. ავტ. რესპ. განსახკომებს, ავტ. ოლქისა და რაიონ. განათლ. განყ. გამგეებს და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის სალქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტების თავმჯდომარეებს . . 22
13. ბრძანება № 2075—წითელი არმიის ახალი, მოაზადებული კადრებით შევსების შესახებ 23

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახკომი
თბილისი—1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 2129

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1941 წ. „4“ ივლისი

„ომიანობის დროს მუშებისა და მოსამსახურეთა სამუშაო რეჟიმის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. გაუქმდეს დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლების, პედაგოგიური და პოლიტგანსასწავლებლების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა მორიგი და დამატებითი შვებულებები.

2. შვებულებიდან თავიანთ სამსახურის ადგილზე გამოწვეული მასწავლებლები, არდადეგების პერიოდში, გაიგზავნონ ადგილობრივ პარტიული და საბჭოთა ორგანოების განკარგულებაში წარმოებებში, დაწესებულებებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვ. სათანადო სამუშაოებზე მათი გამოყენების მიზნით და აგრეთვე, იმ მუშაკების შემცვლელებად, რომლებიც წითელ არმიაში არიან გაწვეულნი.

3. ქ. თბილისში მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკების გამოწვევა მოხდეს სათანადო ორგანიზაციების მიერ საჭირო კადრის მოთხოვნილების მიხედვით, რისთვისაც განათლების განყოფილებები დაუკავშირდნენ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და პირველ მოთხოვნისთანავე გაიგზავნონ მასწავლებლები და სხვა მუშაკები დანიშნულების ადგილზე.

4 არდადეგების პერიოდში დაწესებულებებში, მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვა ადგილებზე გამოყენებულ მასწავლებლებს და სხვა მუშაკებს ხელფასი მიეცემათ თავიანთ ახალ სამუშაოზე დაკავებულ თანამდებობაზე, ან შესრულებულ სამუშაოზე დაწესებულ განაკვეთების მიხედვით, ხოლო განათლების ორგანოების მიერ გაცემული შვებულების დროის ხელფასი ჩაითვალოს, როგორც გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია.

5. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეს შვებულება მასწავლებლებს და სკოლის სხვა მუშაკებს მისცენ მხოლოდ ავადმყოფობის შემთხვევებში, ხოლო ფეხმძიმობის და მშობიარობის დროს კი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად.

6. ზაფხულის არდადეგების პერიოდში მასწავლებელთა სხვადასხვა სამუშაოებზე გამოყენებისა და მათთვის ხელფასის ანაზღაურების წესის შესახებ საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ც/კომიტეტთან ერთად ადგილებს მიეცეს სახელმძღვანელო მითითება (თან ერთვის).

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 4 ივლისის დადგენილება.

საქ. სსრ განათ. სახ. კომისარი

ბ. კიკნაძე

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დაწყ. და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის საოლქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს.

„ომიანობის დროს მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო დროის რეჟიმის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე საქ. სსრ განსახკომის ა/წ 4-ივლისის ბრძანების ცხოვრებაში გატარების მიზნით, საქ. სსრ განსახკომი და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცკ კომიტეტი გავალებთ:

1. შვებულებიდან თავიანთი სამსახურის ადგილზე გამოწვეული მასწავლებლები და სკოლის სხვა მუშაკები გაგზავნოთ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების განკარგულებაში: წარმოებებში, დაწესებულებებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვა ადგილებზე არდადეგების პერიოდში მათი გამოყენების მიზნით და აგრეთვე — იმ მუშაკების შემცვლელად, რომლებიც წითელ არმიაში არიან გაწვეულნი.

2. მასწავლებლებსა, და აგრეთვე უფროსი კლასების მოსწავლე ვაჟებსა და ქალებს შორის გაშალოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და მიიღოთ გადამჭრელი ზომები ზაფხულის არდადეგების პერიოდში მათი აქტიურად ჩასაბმელად საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებსა და სხვადასხვა საწარმოო საქმიანობაში (ნათესების დამუშავება, მოსავლის აღება, ჩაის კრეფა და სხვ.).

3. სათანადოდ მომზადებული მასწავლებლები ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით გამოყოთ აგიტატორებად და გამოიყენოთ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაშლელად.

4. მთლიანად ჩააბათ მასწავლებლობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ საჰაერო თავდაცვისათვის მოსახლეობის საყოველთაოსავალდებულო მომზადების შესახებ მიღებულ დადგენილების განხორციელების საქმეში და ამ დარგში მომზადებული პირები გამოიყენოთ აღნიშნული ღონისძიების გასატარებლად მოსახლეობის ფართო ფენებში.

5. ქალ. თბილისში მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა სამუშაოზე გამოძახება უნდა მოხდეს განათლების განყოფილების მიერ, სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რისთვისაც მჭიდროდ დაუკავშირდით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს და პირველი მოთხოვნილებისთანავე მოახდინეთ მასწავლებლებისა და სხვა მუშაკების გაგზავნა მოთხოვნილების ადგილზე.

განვმარტავთ, რომ არდადეგების პერიოდში დაწესებულებებში, მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვა ადგილზე გამოყენებულ მასწავლებლებს ხელფასი მიეცემათ თავიანთ ახალ სამუშაოზე დაკავებულ თანამდებობისათვის, ან შესრულებულ სამუშაოსათვის დაწესებულ განაკვეთების მიხედვით, ხოლო განათლების ორგანოების მიერ გაცემული შვებულების დროის ხელფასი კი ჩაეთვლებათ, როგორც გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია.

საბჭოთა მასწავლებლების და მოსწავლეების ფართოდ ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში სოფლის მეურნეობასა და წარმოებებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვებისათვის. საქართველოს სსრ განსახკომი და საქართველოს დაწყებითი და საშ. სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ მჭიდროდ დაირაზმოთ თავდაცვის სახელმწი-

ფო კომიტეტის მოწოდების, დიდი სტალინის მოწოდების ურყევად განხორციელების საქმისათვის და გაათკეცებული ენერგიით იბრძოლოთ, რათა ჩვენს წითელ არმიას, ჩვენს ფრონტს საუკეთესო პირობები ექნეს შექმნილი ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი

გ. კიკნაძე

დაწყ. და საშ. სკოლ. მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე

ალ. მურუსიძე

7 ივლისი 1941 წ. თბილისი

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომმებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებათა გამგეებს, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს.

გერმანელი ფაშისტები ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა ხალხს და ცდილობენ ალადგინონ ჩვენს ქვეყანაში მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, დაუბრუნონ საბჭოთა ქვეყნის ბედნიერ მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს, მოსწავლე ახალგაზრდობას მონობა, ჩაგვრა, სიმშილი, სიღატაკე და დამცირება.

მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად, როგორც ერთი კაცი აღსდგა ფაშისტ ყაჩაღების წინააღმდეგ, კიდეკ უფრო მტკიცედ დაირაზმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო უძლეველი წითელი არმია, წითელი ფლოტი, ჩვენი სახელოვანი ავიაცია მტკიცედ იცავენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მიწაწყალს ფაშისტი თავდამსხმელებისაგან.

ასეთ პირობებში ფრონტი და ზურგი ცალცალკე აღარ არსებობს. გენიალური ბელადი ამხანაგი სტალინი მოგვიწოდებს: „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს“ (**სტალინის** მიერ 1941 წლ. 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვიდან).

ჩვენი ქვეყანა აღსდგა ამ მოწოდების განსახორციელებლად, — სამშობლოს დასაცავად, ფაშიზმის გასანადგურებლად.

საბჭოთა ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობა სოციალისტური სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულითა და პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული თავდადებით ეხმარება სახელოვან წითელ არმიას ვერაგული მტრის განადგურების საქმეში. ისინი აღტაცებით აცხადებენ სურვილს არდადეგების პერიოდში წავიდნენ სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, შეავსონ წითელ არმიაში გაწვეულთა ადგილები და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებით ფრონტს მისცენ მეტი ლითონი, მეტი ქვანახშირი, ნავთი, რაც შეიძლება მეტი პური, ხორცი, ტანსაცმელი და სხვა.

ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ლანჩხუთის, თელავის, მახარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ქობულეთის რაიონების სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები, რომლებმაც საკუთარი ინიციატივით შეადგინეს მოსწავლეთა ბრიგადები და ეხმარებიან კოლმეურნეებს ჩაის კრეფაში და სხვა სასოფლო სამეურნეო მუშაობაში.

ამ რაიონის სკოლების მოსწავლეთა შესანიშნავ ინიციატივას უნდა გამოეხმაურონ საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები და ორგანიზებულად გაეშურონ საკოლმეურნეო მინდვრებსა და სოციალისტურ საწარმოებში, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საწარმოო გეგმების შესრულებისა და თავდაცვითი მუშაობის გაძლიერებაში.

საქართველოს სსრ განსახკომს აუცილებლად მიაჩნია განათლების განყოფილებათა

მუშაკები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები სათავეში ჩაუდგნენ მოსწავლეთა მასებს და მთელი მუშაობა წარმართონ ისე, რომ წითელ არმიაში გაწვეულთა ადგილების მოსწავლეთა ძალებით შევსებით გავაათკეცოთ შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში და სოციალისტურ წარმოებებში, მოვახდინოთ სწრაფად და უდანაკარგოდ საკოლმეურნეო მინდვრებზე უხვი მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის დაჩქარებით ჩაბარება.

მოსწავლე ახალგაზრდობამ არცერთი წუთი არ უნდა დაჰკარგოს ნაყოფიერი შრომის გარეშე. ამ მიზნით საჭიროა დაუყოვნებლივ ჩაატაროთ უფროსი კლასების (7—10) მოსწავლეთა შეკრება, აწარმოოთ მათ შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო შრომაში, ქალაქის წარმოებაში რკინისა და ფოლადის ნამსხვრევების შეგროვებაში და სხვ. მათი შრომითი მონაწილეობის შესახებ; მოახდინოთ ამ დარგში მოწინავე მოსწავლეთა ინიციატივისა და საუკეთესო მაგალითების პოპულარიზება და ურთიერთშორის სოცშეჯიბრების გაშლის საფუძველზე შექმნათ ბრიგადები ცალკე კოლმეურნეობებსა და საწარმოებში სამუშაოდ გასაგზავნად.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მოსახლეობაში „საჰაერო თავდაცვისათვის მოსახლეობის საყოველთაო-სავალდებულო მომზადების შესახებ“-სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განხილვას. მოსწავლეები პირველ რიგში საფუძვლიანად უნდა დაეუფლონ თავდაცვის საქმეს. ამ დარგში მოწინავე მოსწავლეები უნდა გამოიყონ სათანადო ორგანოებისათვის დასახმარებლად ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა მოსახლეობაში განუხრელად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ამ ღონისძიებათა გატარების საქმეში სტიქიურობის და უწესრიგობის თავიდან აცილების მიზნით აუცილებლად უნდა დაუკავშირდეთ მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილებათა გამგეებს, საწარმოების ხელმძღვანელებს და კოლმეურნეობებისა და წარმოების საჭიროებათა გათვალისწინებით უზრუნველყოთ მოსწავლეთა ორგანიზებულად და მიზანშეწონილად განაწილება.

თქვენ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ აცნობეთ განსახკომს.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი

გ. კიკნაძე

7 ივლისი 1941 წ.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების დირექტორებს ადგილობრივ კომიტეტებსა და სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარეებს

რიგ უმაღლეს სასწავლებლების პროფესორ-პედაგოგიურმა პერსონალმა და სტუდენტთა შემადგენლობამ განაცხადეს სურვილი არდადეგების პერიოდში სათანადო დახმარება გაუწიონ სამრეწველო წამოწყებებს, სოფლის მეურნეობას, სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს თავისი ცოდნის, გამოცდილების და შრომის გამოყენებით.

განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია ამ დახმარების გაწევა იმ სერიოზულ მომენტში, რომელსაც ჩვენი სოციალისტური სამშობლო განიცდის ამჟამად. ამ მხრივ მისაბაძია ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედინსტიტუტის, ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა მაგალითი, რომლებმაც არდადეგების პერიოდში გამოჰყვეს სათანა-

დო ბრიგადები წარმოებებსა და სახალხო კომისარიატების სისტემაში სამუშაოდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად (კერძოდ ჩაის კრეფაში და სხვ.).

გამომდინარე ხალხთა ბელადის—სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის—დიდი **სტალინის** მოწოდებიდან, რომ ყოველივე დაუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს, მუხანათი მტრის—გერმანულ ფაშისტ-აგრესორების საბოლოოდ განადგურების ამოცანებს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი, და უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფ. კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი იწონებენ რა უმაღლესი სკოლების სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ამ წამოწყებას—აუცილებლად მიაჩნიათ: უმაღლესი სასწავლებლების დირექტორები და პროფ-ორგანიზაციების ხელმძღვანელები დაუკავშირდნენ ქალაქის და სოფლის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოსაყენებლად როგორც უშუალოდ წარმოება-დაწესებულებაში, ისე სოფლის მეურნეობაში; დირექტორები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები დაუკავშირდნენ სათანადო პარტიულ ორგანიზაციებს და მათ ამ მიზნით გადასცენ შემოწმებული და გამოცდილი ამხანაგები, რომ ისინი ფრონტზე მიექნან გამოყენებული სააგიტაციო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად მოსახლეობაში—წარმოება-დაწესებულებების საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა შორის, რათა აგიტაციამ მიაღწიოს თითოეულ ადამიანამდე და მასებში შექმნას მტკიცე რწმენა, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისა ამ დიდ სამამულო ომში.

მასწავლებელთა და სტუდენტთა შემადგენლობიდან სათანადოდ მომზადებული და გამოცდილი ამხანაგები გამოყენებულ იქნას მასობრივ თავდაცვითი მუშაობის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის სამოქალაქო მოსახლეობის მომზადების საქმეში.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
კ. კიკნაძე.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
ა. მურუსიძე

უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავ-რე
ვ. იმედაძე

7 ივლისი 1941 წ.

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის და ყველა რაიონის განათლების განყოფილებებს, სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირის ოლქკომებს, რაიკომებს და პროფრწმუნებულებს

წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახების უკეთ მომსახურეობისა, წარმოება-დაწესებულებებსა და სოფლის მეურნეობაში ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა კიდევ უფრო მეტად უნდა გააძლიერონ მუშაობა. პირველ რიგში, როგორც ქალაქად ისე სოფლად არსებულმა საბავშვო ბაღებმა მომსახურეობა უნდა გაუწიონ განსაკუთრებით იმ ბავშვებს, რომელთა მშობლები გაყვანილი არიან წითელ არმიაში, აგრეთვე ჩაბმული არიან წარმოება-დაწესებულებებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ მიზნით განათლების ორგანოებმა სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირის ოლქკომებთან, რაიკომებთან და პროფრწმუნებულებთან ერთად გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაუყოვნებლივ აღრიცხონ სკოლამდელი ასაკის ის ბავშვები, რომლებსაც პირველ რიგში ესაჭიროებათ საბავშვო ბაღებით მომსახურეობა (წითელ არმიაში გაწვეულთა, წარმოება-დაწესებულებებსა და სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მშობლების შვილები), ამ საქმეში გამოყენებული იქნან სკოლის მასწავლებლებიც.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საბავშვო ბაღს არა აქვს შესაძლებლობა მთლიანად დააკმაყოფილოს წითელ არმიაში გაწვეულთა, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებსა და სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მშობელთა ბავშვები, საჭიროა დროებით გაყვანილ იქნან საბ. ბაღებიდან იმ დიასახლისთა შვილები, რომლებიც არ არიან ჩაბმული მუშაობაში.

2. აღრიცხულ ბავშვთა კონტიგენტიდან დაზუსტდეს იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ დღე-ღამის განმავლობაში მომსახურეობას — საინტერნატო ჯგუფის მოწყობას.

საინტერნატო ჯგუფებში მიიღებიან მხოლოდ ისეთი ბავშვები, რომელთა მშობლები (დედა, მამა) გაწვეული არიან წითელ არმიაში და ბავშვებს სხვა მზრუნველი არ ყავთ.

საინტერნატო ჯგუფების მოსაწყობად შეირჩეს ისეთი საბავშვო ბაღები, რომლებსაც სათანადო პირობები გააჩნია (ბინა საკმაო ფართობით, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა) თუ ასეთი საბ. ბაღი რაიონს არ აქვს, საჭიროა შეირჩეს ამ მიზნისათვის სხვა შესაფერისი შენობა.

3. მოთხოვნილების მიხედვით ცალკეულ საბავშვო ბაღებთან გადიდდეს ჯგუფების რაოდენობა, გადიდდეს აგრეთვე სამუშაო დღის ხანგრძლივობა, წარმოებულ იქნეს მუშაობა საბავშვო ბაღებში დასასვენებელ დღეებში და სხვ.

4. ზემოაღნიშნული ღონისძიებებისათვის საჭირო ხარჯები გაწეულ იქნეს საბავშვო ბაღების 1941 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტის ფარგლებში.

5. სკოლამდელ ბავშვთა უკეთ მომსახურეობისათვის კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა საბავშვო ბაღებში (რეჟიმის ზუსტად გატარებით, ძილის მოწყობით, კვების გაძლიერებით და სხვ.).

6. თანახმად სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულებისა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მუშაკები მორიგ შვებულებაში არ გაიშვებიან;

ის მუშაკები, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან შვებულებაში დაუყოვნებლივ დაბრუნდებიან თავიანთ ადგილებზე.

7. წითელ არმიაში გაწვეულთა შვილების გადასახადის შეღავათის შესახებ იხელმძღვანელეთ საქ. სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წ. 17 მაისის დადგენილებით, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში 1940 წლის მაის-ივნისის ნომერში.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი
ბ. კიკნაძე

სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულების მუშაკთა კავშირის რესპ. კომიტეტის თავ-რე

თ. ჯყოლია

7 ივლისი 1941 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1298

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1941 წ. 26 აპრილი

სილნალის რაიალმასკომის სახ. განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ სილნალის რაიონის განათლების განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად გარკვეული მიღწევებია მოპოვებული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების, წ/კ. უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის, რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლოალმზრდელობითი მუშაობის დაყენებისა და პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა განათლების განყოფილების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებებს: განათლების განყოფილების სამუშაო გეგმა შედგენილია არა კალენდარული, არამედ სასწავლო წლის მეოთხედების მიხედვით; გეგმაში ნაკლებად არის წარმოდგენილი საფინანსო, სამეურნეო და საორგანიზაციო საკითხები; განათლების განყოფილებას დღემდე არ ჩაუტარებია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა 1941 წლის ბიუჯეტის ცალკეულ ერთეულებზე განაწილება.

სათანადოდ არ არის მოწესრიგებული სკოლებისა და სხვა ობიექტების პასპორტიზაციის საქმე. განათლების განყოფილებაში შენახულ სასკოლო პასპორტებში არ არის შეტანილი გასული სასწავლო წლების მაჩვენებლები. ზოგიერთ პასპორტში შეცდომით არის შეტანილი წინაწლების მასალები. არ არის შევსებული განსახკომის მიერ დაშვებული სასკოლო პასპორტების ფორმები.

სწორად არ არის ტარიფიცირებული ზოგიერთი მასწავლებლის ხელფასი და განსახკომში არ არის წარმოდგენილი სტატალრიცხვის ზოგიერთი ფორმა.

არ არის მოწესრიგებული მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა პირადი საქმეები (მასწ. ჯანყარაშვილს. ლაზარაშვილს, მურაჩაშვილს, გურაშვილს, რაზმაძეს, აბაშიძეს, გრელაშვილს და სხვ. განათ. განყოფილებაში არ წარმოუდგენიათ ცენზის, სტაჟის და სხვა საჭირო საბუთები), ზოგიერთ მასწავლებელზე არ არის შევსებული შრომის წიგნაკი და იგი არ ინახება განათლების განყოფილებაში (განათლების დარგის 43 მუშაკზე შრომის წიგნაკები არ არის შევსებული).

დღემდე სუსტად მუშაობდა განათლების განყოფილების სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი (გაკვეთილების განზოგადება, მეთოდური ლექციები, კონსულტაციები, მასწავლებელთა მუშაობის შემოწმება არ ტარდებოდა სისტემატურად).

რაიონის ზოგიერთ სკოლაში (დაბა წნორის რუსული არასრულ საშუალო სკოლა) ადგილი ჰქონდა საბჭოთა სკოლისათვის შეუფერებელ მოქმედებას,— მოსწავლის ფიზიკურად დასჯას.

სათანადო დონეზე არ დგას საბავშვო ბაღებისადმი დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევის საქმე (ქვ. მაჩხაანის და ბოდბისხევის საბავშვო ბაღები).

რაიონის ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი სასწავლო ხასიათის საცდელი მიწის ნაკვეთით (რაიონში მხოლოდ 5 სკოლას აქვს მიწის ნაკვეთი). რიგ სკო-

ლებს არ გააჩნია ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო კაბინეტები (ქვ. მაჩხაანის და სიღნაღის არასრული საშუალო სკოლები).

სუსტად არის დაყენებული ორკლასთან მომუშავე და დამწყებ მასწავლებლებისადმი დახმარების გაწევის საქმე.

ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ პროგრამულ ჩამორჩენილობას (სიღნაღის საშუალო სკოლა, ქვ. მაჩხაანის საშუალო სკოლის მე-5-7 კლასებში); სათანადო დახმარება და კონტროლი არ ეწევა ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლებას სკოლებში. აღნიშნულისა გამო ვბრძანებ:

1. განათლების განყოფილების სამუშაო გეგმა შედგენილ იქნას კალენდარული — ვადებისა და კვარტალის მიხედვით. გეგმაში სრულად იქნას წარმოდგენილი, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი, ისე საორგანიზაციო-სამეურნეო და საფინანსო საკითხები. სამუშაო გეგმას საფუძვლად დაედვას საკ. კ. პ. (ბ) მე-18 სრულიად საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

სასკოლო ინსპექტორების სამუშაო გეგმები უნდა დგებოდეს განათლების განყოფილების წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე, კონკრეტული საკითხებისა და შესრულების ვადის გათვალისწინებით. კვარტალში ერთხელ ხდებოდეს ამ გეგმების შესრულების შემოწმება.

2. ამთავითვე იქნეს ჩატარებული 1941 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის განაწილება, საჭირო მოსამზადებელი მუშაობა. მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე შესდგეს ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვები განათლების განყოფილების ყველა ქვემდებარე დაწესებულებაზე.

3. 1-ლ ივნისამდე უზრუნველყოფილ იქნას პასპორტების შედგენა პასპორტიზაციის გარეშე დარჩენილ სკოლებზე, აგრეთვე ცვლილებათა შეტანა ყველა ქვემდებარე დაწესებულების პასპორტებში.

ჩამოყალიბდეს პასპორტიზაციის ჩამტარებელი სარაიონო შტაბი.

4. სატარიფიკაციო კომისიამ მ/წ 1-ლ ივნისამდე გადასინჯოს რაიონის მასწავლებელთა ხელფასის განაკვეთების, განათლების განყოფილებამ უზრუნველყოს მასწავლებელთა ხელფასის გაცემა კანონით გათვალისწინებული წესების ზუსტად დაცვით.

5. უზრუნველყოფილ იქნას მეოთხედური ანგარიშების, შევსებული სტატისტიკური ფორმების და სხვა მასალების წესიერად შედგენა და დროულად წარდგენა სკოლების მიერ განათლების განყოფილებაში, ხოლო განათლების განყოფილების მიერ განსახკომში.

6. საქ. სსრ განსახკომის 1940 წლის 9 მარტის ინსტრუქციის საფუძველზე, მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები განთესილ მოსწავლეთა ზუსტად აღრიცხვისა და სკოლაში მათი დაბრუნებისათვის.

7. 1941/42 სასწავლო წლისათვის ახალი ხელსაწყოებით შევსებულ იქნას სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თვალსაჩინო ხელსაწყოებისა და მასალების სრულ წესრიგში მოყვანას, მათს სისტემატურად გამოყენებას სწავლებაში.

8. რაიონის პედაგოგიურმა კაბინეტმა მტკიცედ დანერგოს თავის მუშაობაში და სკოლებში გეგმიანობა; გადასინჯოს სამუშაო გეგმა, ჩაბას კაბინეტის მუშაობაში გამოცდილი მოწინავე მასწავლებლები; სისტემატური დახმარება გაუწიოს სკოლებს, მასწავლებლებს და შეამოწმოს მათი მუშაობა; მოწინავეთა გამოვლინების, გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების, ღია გაკვეთილების ჩატარების, ცალკე საგნების სექციების მუშაობის გამოცოცხლებისა და მასწავლებლებისათვის პროგრამული და მეთოდური ხასიათის ლექციების მოწყობის გზით უზრუნველჰყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება რაიონის სკოლებში; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ორკლასთან მომუშავე და დამწყებ მასწავლე-

ბლებისადმი კონკრეტული დახმარების გაწევის საქმეს.

9. განათლების განყოფილებამ გააძლიეროს საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა სასკოლო მიწის ნაკვეთის შემორაგვისა და დაგეგმვის, მცენარეთა თესლით, ნერგითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით სკოლების მომარაგებისა და სკოლის ეზოს გამწვანების საქმისადმი.

10. მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები ყველა ქვემდებარე დაწესებულებაში სისუფთავის დაცვისა და ინვენტარის, აგრეთვე სასწავლო მოწყობილობის მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

11. ა/წ 1/VI-მდე წ/კ უცოდინარ და მცდ. მოქალაქეთა შემდგომი გამოვლინებისა და სწავლებაში მათი ჩაბმისათვის გამოყენებულ იქნას განათლების დარგის ყველა მუშაკი.

განსახკომის (1940 წლის 31 დეკემბრის № 486) დირექტივის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას რუსული ენის არმცოდნე წვევამდელთა მთელი კონტინგენტის სისტემატური დასწრება მეცადინეობაზე.

12. სათანადო მეთოდური დახმარება (მუშაობის შემოწმება, კონსულტაციის ჩატარება, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ლიტერატურის მიწოდება და სხვ.) გაეწიოს საბავშვო ბაღებს და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი ბავშვთა შორის სანიტარული წესებისა და ბავშვთა კვების ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მომარაგებულ იქნას საბავშვო ბაღები აუცილებელი ინვენტარით სათამაშოებით და დიდაქტიკური მასალებით.

13. მიმდინარე წლის 15 მაისამდე მოწესრიგებულ იქნას მასწავლებლების და სხვა მუშაკების პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები; განათლების განყოფილებაში ინახებოდეს მათი ყველა საბუთი (განათლების, სტაჟის, ატესტაციის და სხვ.)

14. განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე სისტემატური დახმარება გაეწიოს დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ მასწავლებლებს, რათა მათ სამუშაოდან მოუწყვეტლად მიიღონ უმაღლესი განათლება.

15. განათლების განყოფილებამ, სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა უზრუნველჰყონ სკოლებში მოსწავლეთა დოკუმენტების, პირადი საქმეების, მოწმობა-ატესტატებისა და სკოლის კანცელარიაში საქმის ქაღალდების წესიერად წარმოება, შევსება-შედგენა და მოვლა-პატრონობა.

16. გადაისინჯოს, და სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად შესწორდეს დაბა წნორის ქართული საშუალო, რუსული არასრული საშუალო, ქ. სიღნაღის, ქვემომაჩხაანის და ბოდბისხევის სრულ და არასრული საშუალო სკოლების შინაგანაწესები.

17. ქ. სიღნაღის მოზრდილთა დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორმა უზრუნველჰყოს მოსწავლეთა სისტემატური დასწრება ყოველდღიურ მეცადინეობაზე და მიიღოს სათანადო ზომები სკოლაში-სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე მოსწავლეთა საჭირო კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმისათვის.

18. განსახკომის ინსტრუქციის საფუძველზე ამთავითვე გაშლილ იქნას მუშაობა რაიონის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1941/42 სასწავლო წლისათვის სათანადოდ მომზადების უზრუნველსაყოფად.

19. დაბა წნორის რუსული არასრულ საშუალო სკოლის ისტორიისა და სსრკ კონსტიტუციის მასწავლებელი გ. ს. პიტუხი, მოსწავლის ცემისა და საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის მოიხსნას სამუშაოდან და აეკრძალოს პედაგოგიური მუშაობა განსახკომის სისტემის სკოლებში.

20. დაბა წნორის რუსული არასრული საშუალო სკოლის დირექტორს გ. მახაშვილს გამოეცხადოს საყვედური სკოლაში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის.

21. გაფრთხილებულ იქნას დაბა წნორის

რუსულ არასრული საშუალო სკოლის მასწ. კოლესნიკოვი იმის გამო, რომ ის შეეცადა მოსწავლის ფიზიკურად დასჯის ზომის გამოყენებას.

საფუძველი: განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 18 აპრილის დადგენილება.

სსსრ განათლების სახ. კომისარი
ბ. კიკნაძე

ბრძანება № 1496

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1941 წ. „22" მაისი

თბილისის ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებათა მუშაობის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ლენინის და 26 კომისრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებათა მუშაობაში არის ზოგიერთი მიღწევები: ძირითადად სკოლები უზრუნველყოფილია კვალიფიციური პედკადრებით, დანერგილია გეგმიანობა, სისტემატურად მოწმდება სკოლები (საგნების სწავლება, მეთოდმუშაობა, დოკუმენტების გაფორმება და სხვ.—26 კომისრ. სახელობის რაიონის განათლების განყოფილება) რიგ სკოლებს კარგი აკადემიური მაჩვენებლები აქვს (მე-11, 31-ე, მე-10 საშუალო სკოლები), ყურადღება ექცევა თვალსაჩინო სწავლებას და მოსწავლეებში პრაქტიკულ ჩვევების გამომუშავებას (89-ე, 32-ე, 71-ე საშუალო სკოლები), დაცულია სისუფთავე და წესრიგი, მოვლილია ლაბორატორიები, კაბინეტები (57-ე, 91-ე, 84-ე, 92-ე, 83-ე საშუალო სკოლები). ამავე სკოლებში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზადება წლიური შემოწმებითი გამოცდებისათვის, შედგენილია ცხრილი, ბილეთები და სხვ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებათა მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს:

1. ორივე რაიონის განათ. განყოფილებათა მეთოთხედური გეგმები არაა კონკრეტული, არ სწარმოებს გეგმის შესრულების შემოწმება და სათანადო ღონისძიებათა დასახვა, გეგმაში არ არის გათვალისწინებული სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა შესრულების შემოწმება საკ. კ. პ. (ბ) მე-18 სრულიად-საკავშირო პარტკონფერენციის დადგენილებათა საფუძველზე განათლების განყოფილებათა სამუშაო გეგმები არაა გადასინჯული და პრაქტიკული ღონისძიებანი დასახული.

2. მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაციის არა სწორად ჩატარების შედეგად ხელფასის გაცემის საქმეში ადგილი აქვს დარღვევებს, (ლენინის სახ. რაიონის 51-ე საშ. სკოლაში) კოხრეიძეს ხელფასი ეძლევა 1-თანრიგით, მაშინ, როცა ცენზის შესახებ დოკუმენტი არა აქვს წარმოდგენილი, მ. სიხარულიძეს (ლენინის სახ. რაიონი 32-ე საშ. სკოლა არავითარი დოკუმენტი არა აქვს და ხელფასი ეძლევა 1-თანრიგით).

ასევე, არ აღმოჩნდა სათანადო დოკუმენტები: მელიქსედიანის, ჩახალიანის, ზავარიანის (84-ე საშ. სკ. 26 კომსრ. რაიონი) და სხვ.

3. არ ეწევა სათანადო კონტროლი შრომის წიგნაკების თავის დროზე წარმოდგენას, ცვლილებების ზუსტად შეტანას და სუფთად შევსებას; ასე მაგალითად: ცვლილებები დღემდე არ არის შეტანილი ზოგიერთი მასწავლებლის შრომის წიგნაკში (86-ე, 87-ე, 83-ე, მე-90, 71-ე, 58-ე და სხვა საშ. სკოლებში — 26 კომისრ. სახ. რაიონში), არ არის შრომის წიგნაკი წარმოდგენილი 71-ე საშუალო სკოლის (26 კომ. სახ. რაიონი) დირექტორისა და მე-10 საშუალო სკოლის (ლენინის სახ. რაიონის) მასწავლებლების (როგავა, აბშილავა, ცქვიტინიძე) მიერ. არის

შემთხვევა შრომის წიგნაკში ბრძანების არასწორად ჩაწერისა.

ჯერ კიდევ რიგ სკოლებში მოუწესრიგებელია მასწავლებელთა პირადი საქმეები ცალკეულ შემთხვევაში აკლიათ დოკუმენტები ცენზის, სტაჟის შესახებ, ბრძანებების ამონაწერი დანიშვნაზე და ავტობიოგრაფია (51-ე, 32-ე, 48-ე საშუალო სკოლები— ლენინის სახ. რაიონი).

4. სკოლის პასპორტებში 1938 წლის შემდეგ მომხდარი ცვლილებები არ არის შეტანილი (ლენრაიონი) შევსებულებშიც დაშვებულია შეცდომები. ასე, მაგალითად, 51-ე საშუალო სკოლის პასპორტში ხელსაწყოიარაღების ღირებულება 15,0 ათასი მანეთის არის აღნიშნული, მაშინ როდესაც ქონება ფაქტიურად 42,0 ათასი მანეთის ღირებულებისაა. 32-ე საშუალო სკოლის პასპორტში კლასების რაოდენობა და კონტიგენტი ნაჩვენებია 1938/39 სასწავლო წლის და ბიუჯეტი 1938 წლის. ასევე არასწორად არის შეტანილი ცნობები 84-ე (26 კომისრის სახ. რაიონ.) საშუალო სკოლის პასპორტში და სხვ.

5. ადგილი აქვს საქ. განსახკომის ბრძანების გარეშე მასწავლებელთა დანიშვნის შემთხვევებს, მაგალითად, მე-19 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი თ. ახვლედიანი, მ. ხოფერია და რ. გომელაური და მე-31-საშუალო სკოლის დაწყ. კლასის მასწავლებელი თ. ქიშმარია და ვ. შენგელია მუშაობენ მე-V კლასის მასწავლებლად საქ. განსახკომის ბრძანების გარეშე. ასევე მე-64 საშუალო სკოლის დირექტორი მხეიძე და სასწავლო ნაწილის გამგე გეივსკაია (26 კომისრის სახ. რაიონი) საშუალო განათლებით არიან, არა აქვთ საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება მინიჭებული და საშუალო სკოლის ხელმძღვანელებად მუშაობენ საქ. განსახკომის ბრძანების გარეშე.

6. 51-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწ. ნ. ჭავჭავაძე ამავე სკოლის საქმეთა მმართველი-არაპედაგოგიური განათლებით, დანიშნულ იქნა საქ. განსახკომის მიერ მასწავლებლად, თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების მიერ პედსტაჟის შესახებ არასწორად წარმოდგენილ ცნობის საფუძველზე.

7. ლენრაიონში სკოლაში ჩაუბმელია 7-სასკოლო ასაკის ბავშვი. 27 წერაკითხვის უცოდინარი და 236 მცირეცოდნე ჯერ კიდევ არ არის ლიკსკოლებში მიზიდული, 26 კომისრის რაიონში სასკოლო ასაკის 17 ბავშვია ჩაუბმელი.

8. მთელ რიგ სკოლებში ადგილი აქვს განთესვას, მაგ. 97-ე საშ. სკოლიდან 30 მოსწავლეა განთესილი, 89-ე საშ. სკ-დან 27-მოსწავლე, 64-ე საშუალო სკოლიდან 97 მოსწავლე და სხვ. 64-ე საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. მხეიძე არც კი იცნობს საქ. განსახკომის 1940 წლის 9 მარტის დირექტივას მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადაყვანის შესახებ და არა აქვს იგი გამოყენებული სახელმძღვანელო დოკუმენტად.

9. საქ. განსახკომის სახელმძღვანელო ბრძანებები და დირექტივები განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ ზოგჯერ არ იხილება დროულად. არ მუშავდება პრაქტიკული ღონისძიებანი. ასე, მაგალითად: საქ. განსახკომის კოლეგიის ღონისძიებანი — „პრაქტიკული მუშაობისათვის მოსწავლეთა რამდენადმე მომზადების შესახებ ქალაქის სკოლებში“, რომელიც ამავე დადგენილებით 30 მარტამდე უნდა განხილულიყო პედკაბინეტებისა და პედსაბჭოების სხდომებზე, 8 აპრილს არც განათლების განყოფილებებისა და არც სკოლების (მე-19 საშ. სკოლა) მიერ არ იყო განხილული. სახელმძღვანელოდ არ არის გამოყენებული საქ. განსახკომის პროგრამა ქართულ ენაში (მე-2 კლასი 31-ე საშ. სკოლა—მასწ. ცქიტიშვილი და სხვ.) არც წლიურ და არც თემატიკურ სამუშაო გეგმებში არ ჩანს პროგრამული მასალების შესწავლა, გეგმები შედგენილია სახელმძღვანელოს მიხედვით. ამასთანავე ამავე სკოლაში სასწავლო წლიდანვე არ არის განხილული მეტყველების განვითარების პროგრამა და

სათანადო საკითხები თანამიმდევრულად არ არის გავლილი.

ზოგჯერ გაკვეთილების გეგმები დგება ზერელედ (მასწ. სვანიძე, ქიმმარია), გამეორებას ეთმობა მთელი გაკვეთილი და უგულებელყოფილია გაკვეთილზე გამეორებისა და ახალი მასალის ურთიერთშეფარდება (48-ე, 39-ე საშუალო სკოლა).

წერითი სამუშაოების ნორმები არ სრულდება რუსულ ენაში III და IV კლასებში, ქართულ ენაში და ლიტერატურაში სისტემატურად არ სწორდება რვეულები (მე-4 საშუალო და 92-ე არასრული საშუალო სკოლები), ჯერ კიდევ არ ექცევა ყურადღება სტილისტურ, ორთოგრაფიულ და ლოგიკურ შეცდომათა გულდასმით გასწორებას, საკარნახო ტექსტის შერჩევას და სხვ. (48-ე, 31-ე საშუალო სკოლები).

10. ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში შემოწმებითი გამოცდებისათვის ბილეთები არაა შედგენილი საქ. სსრ განსახკომის მითითებების მიხედვით; 31-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის საგამოცდო ბილეთებში (ქართულ ლიტერატურაში) შეტანილია მე-8 და მე-9 კლასის პროგრამული მასალები, პოეტიკიდან გამოტოვებულია 15 საკითხი (მასწ. მესხი), მე-8 კლასში საგამოცდო ბილეთებში არ არის შეტანილი 53 სხვადასხვა მასალა ლიტერატურიდან და 28 საკითხი პოეტიკიდან (მასწ. პ. სვანიძე) და სხვა.

ბილეთებში წარმოდგენილია ზოგიერთი ნაწარმოები ცალკე საკითხების მიხედვით (მასწ. სვანიძე), ხშირად ნაწარმოების სახელწოდებაც დამახინჯებულია („ქართლის დედას", „სიბრძნე სიცრუვისა" და სხვ.).

11. ზოგიერთ სკოლაში (32-ე, 52-ე, 31-ე საშ. სკოლები, ლენრაიონი) სუსტია აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა დახმარება და ორწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. ასე მაგალითად: მოწ. რ. მუხიგულაშვილი (31-ე საშუალო სკოლა) მეოთხედის განმავლობაში მასწავლებელს (გულიაშვილი) არ გამოუკითხავს და ნიშანი (შეფასება) დაუწერია „ცუდი". ასეთივე მდგომარეობაა 51ე და 32-ე საშუალო სკოლაში (მოწ. ავთ. ხაფავა და ინდ. ქაჯაია). ლენინის რაიონში ვერ ასწრებს 185 და 26 კომისრის სახ. რაიონში 381-მეოთხედლოვანი მოსწავლე. შემოწმებულ სკოლებში მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა არ დგას სათანადო სიმაღლეზე; ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესის დარღვევას, ხულიგნური ქცევის გამოვლინებას. (48-ე, 36-ე, მე-10 საშუალო სკოლები—ლენრაიონი და 92-ე, მე-4 საშუალო სკოლები 26 კომისრ. სახ. რაიონი).

12. ზოგიერთ სკოლაში (51-ე საშუალო სკოლა— ლენრაიონი) არაა სასწავლო კაბინეტები გაპიროვნებული და კაბინეტის გამგეებისათვის ჩაბარებული მათ განკარგულებაში არსებული ქონება-მოწყობილობა.

ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება წესრიგსა და სისუფთავეს, სასკოლო დოკუმენტების შედგენა-გაფორმებას. ასე, მაგალითად, ეზო დანაგვიანებული და მოუვლელია, სკოლის შინაგანაწესი არაა შემოწმებული 26 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე (48-ე საშ. სკოლა), ცხრილი შედგენილია უსუფთაოდ, ფანქრით, რუქები, ჟურნალები არაა მოვლილი.

მეტად უხარისხოდ იწერება პედსაბჭოს სხდომების ოქმები, ბრძანებები (მე-19 საშ. სკოლა— 26 კომისრ. რაიონი) სკოლები მეოთხედურ ანგარიშებს დაგვიანებით და ზოგჯერ შეცდომებითაც ადგენენ (31-ე საშ. სკოლა— ლენრაიონი).

13. პედაგოგიური კაბინეტის დახმარება სკოლებზე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია; სახელმძღვანელოდ არ არის გამოყენებული პედკაბინეტის დებულება (ლენრაიონი). პედკაბინეტის მეთოდისტების მითითებები ხშირ შემთხვევაში მეტად სუსტია და ზერელე (მეთოდისტები— კარაბაკიანი, კორძახია, ზაალიშვილი, ყიფიანი, სურგულაძე, რატიანი აგასოვი).

არ ხდება ცალკეულ საგნების სწავლების შემოწმება რაიონის სკოლებში, გამო-

კვლევის შედეგების, საჭიროების მიხედვით განზოგადოება და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პრაქტიკულ ღონისძიებათა წერილობითი სახით სკოლებისათვის დატოვება.

14. არ ექცევა სათანადო ყურადღება საბავშვო ბაღების მუშაობას; ადგილი აქვს ბავშვთა საგრძნობ განთესვას და კვება დღეების შეუსრულებლობას; ასე მაგალითად, ლენინის სახ. რაიონის საბავშვო ბაღებიდან განთესილია 170 ბავშვი, ხოლო 26 კომისრის სახ. რაიონის საბავშვო ბაღებიდან 47 ბავშვი, სუსტად მიმდინარეობს მშობელთა გადასახადების აკრეფა.

15. სუსტია ხელმძღვანელობა პოლიტგანდაწესებულებებზე: აღნიშნულ განათლების განყოფილებებს რაიონში არსებული ბიბლიოთეკებისათვის არ დაუსახავთ მათთვის საჭირო ღონისძიებანი, არ განუხილავთ და არ დაუმტკიცებიათ მათი სამუშაო გეგმები. ამასთანავე არ ექცევა ყურადღება ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდით დაკომპლექტებას, დაცვას და მკითხველებთან მუშაობის მეთოდებს.

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების მიერ არ არის განხილული ბიბლიოთეკების შესახებ განსახკომის ბრძანება № 21, 4/I—1941 წ. და არ არის სათანადო ღონისძიებანი დასახული და გატარებული.

16. არა საკმაოა თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონების განათლების განყოფილებებზე და სკოლებზე. 1940/41 სასწ. წელს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების ინსპექტორების მიერ ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში არცერთ სკოლაში არ ყოფილა გამოკვლეული ცალკე სასწავლო დისციპლინებში სწავლების მდგომარეობა და ამის შედეგად სკოლებისათვის არავითარი მითითება არ მიუციათ.

17. ლენინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებაში სრულიად მოუწესრიგებელია კანცელარია, ამის შედეგად სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე საქ. განსახკომის მხოლოდ 5 ბრძანება აღმოჩნდა, დანარჩენი კი დაკარგულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომდინარე აქედან **ვბრძანებ:**

1. დაევალოს ლენინისა და 26 კომისრის სახელობის განათლების განყოფილებებს საკ. კ. პ. (ბ) მე-18 სრულიად-საკავშირო პარტკონფერენციის დადგენილებათა საფუძველზე 25 მაისამდე გულდასმით გადასინჯონ სამუშაო გეგმები, შეადგინონ ის კონკრეტულად და სისტემატურად შეამოწმონ მათი შესრულება.

2. პირადად შეამოწმონ მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაციის სისწორე და გადაჭრით აღიკვეთოს ხელფასის გაცემის საქმეში არსებული დამახინჯებანი.

3. 29 მაისამდე უზრუნველყოფილ იქნას დირექტორების, სასწ. ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა პირადი საქმეების საბოლოოდ მოწესრიგება, შრომის წიგნაკებში სათანადო ცვლილებების შეტანა და სკოლის პასპორტების გადასინჯვა.

4. უზრუნველყოფილ იქნას სკოლის გარეშე დარჩენილ მოსწავლეთა სკოლებში მთლიანად ჩარიცხვა, წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა ჩაბმა სალიკვიდაციო სკოლაში და მათთან მეცადინეობის დაწყება. შესრულების მიმდინარეობა მოხსენდეს კოლეგიას 15 ივლისს.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა განსაკუთრებული კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებს წლიური შემოწმებითი გამოცდების ორგანიზებულად ჩასატარებლად. საგამოცდო ბილეთები შედგეს საქ. განსახკომის მითითებათა მიხედვით. ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველჰყონ განთესილ და ჩაუბმელ მოსწავლეთა მიზიდვა, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად აგებვა, მოსწავლეებში პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავება და გაკვეთილებზე ცდებისა და თვალსაჩინოების გამოყენება. მიიღონ საჭირო ზომები სკოლაში სისუფთავისა და წესრიგის დამყარებისათვის. კონკრეტულად განიხილონ თითოეული სკოლის მიერ ამ მხრივ ჩატარებული მუშაობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

6. სკოლების დირექტორების თათბირებზე სისტემატურად იხილებოდეს ხელმძღვანელ ორგანოების ბრძანებები, დადგენილებები და საინსტრუქციო წერილი, მათი ცხოვრებაში გატარების მიზნით.

სისტემატურად მოახდინონ ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობის გამორკვევა რაიონის სკოლებში და შედეგების განზოგადება სათანადო ღონისძიებათა დასახვით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შესწავლას და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვით სკოლებისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენას.

7. მიიღონ გადამჭრელი ზომები მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში პროცენტომანიისა და ლიბერალიზმის აღსაკვეთად.

აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა მიმართ გამოყენებულ იქნას აღმზრდელობითი სახის ღონისძიებანი, კონსულტაციები დასხვ.

8. უზრუნველჰყონ პედაგოგიური კაბინეტების მუშაობის წარმართვა იმგვარად, რომ სკოლებზე მეთოდური დახმარება, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება, ღია გაკვეთილების მოწყობა და სხვა ხდებოდეს საქ. განსახკომის 1939 წლის 27 დეკემბრის № 7566 ბრძანების შესაბამისად.

9. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბავშვო ბაღების ნორმალურად დაკომპლექტებას, განთესილ ბავშვთა მიზიდვას, კვება-დღეების შესრულებას და მშობელთა გადასახადის დროულად აკრეფას. საბავშვო ბაღებს დროზე მიეცეს კვარტალური და თვიური საფინანსო გეგმები ბავშვთა-დღის აღნიშვნით და მათი დაფინანსება შეუფარდდეს საბავშვო ბაღების მიერ სამუშაო გეგმების შესრულებას.

10. თბილისის საბჭოს სახალ. განათლების განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდით დაკომპლექტებას, მკითხველთა შორის მასობრივ მუშაობას, წიგნების დაცვასა და სისტემატური და ანბანური კატალოგების წესრიგში მოყვანას. უმოკლეს ვადაში განიხილოს განსახკომის ბრძანება № 21 და დასახოს სათანადო ღონისძიებანი.

11. მეთოდისტებს: კორძახიას, ყიფიანს, სურგულაძეს, აგასოვს, კარაბაკიანს, ზაალიშვილს და რატიანს განემარტოს, რომ სკოლის შემოწმებისას, შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საჭიროა დასახულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი, საკონტროლო წიგნში მითითებები ჩაიწეროს სწორი და გამართული ენით და სისტემატურად ხდებოდეს მათ მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება.

12. 51-ე სკოლის დაწყ. კლასის მასწ. ნ. ჭავჭავაძე ახალი სასწავლო წლიდან განთავისუფლდეს თანამდებობიდან, როგორც უცენზო.

13. მასწავლებელთა ხელფასის არასწორად დათანრიგებისა, საქ. განსახკომის ბრძანების გარეშე მასწავლებელთა დანიშვნისა და სკოლებზე არადამაკმაყოფილებელი მეთოდური ხელმძღვანელობისათვის ლენინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. გოგუაძე ღირსია მკაცრი სასჯელისა, მაგრამ მიღებულ იქნას მხედველობაში ის, რომ საქ. განსახკომის გამომკვლევი კომისიის მითითებათა შედეგად ლენინის სახელობის განათლების განყოფილებამ ნაწილობრივად შესძლო ზემოდაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, — გაფრთხილებულ იქნას, რათა მომავალში არ დაუშვას საქ. განსახკომის ბრძანებების უგულებელყოფა და გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლებზე კონკრეტული მეთოდური დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევის საქმე.

14. საქ. განსახკომის ბრძანების გარეშე მასწავლებელთა დანიშვნისათვის, მასწავლებელთა პირადი საქმეებისა და შრომის წიგნაკების მოუწესრიგებლობისათვის 26 კომისრის სახელობის რაი-განათლების განყოფილების გამგეს მ. ბახშინიანს მიეთითოს.

15. დაევალოს საქ. განსახკომის კადრების სამმართველოს ქ. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებასთან ერთად ახალი სასწავლო წლიდან: ა) გადასინჯოს ქ. თბი-

ლისის საბჭოს განათლების განყოფილების ინსპექტორებისა და პედაგოგიური ტექნიკუმების მეთოდისტების შემადგენლობა; ბ) გაანთავისუფლოს არასრულ საშუალო და საშუალო სკოლების უცენზო დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, მასწავლებლები და უზრუნველყოს კვალიფიციური პედაგოგიური სკოლების დაკომპლექტება.

16. დაევალოს ქ. თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა სკოლებზე მათი სისტემატური შემოწმებით და ... ბრძანების გასატარებლად დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი
ბ. კიკნაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1837

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1941 წლის 20 ივნისი

1941/42 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ

მიმდინარე წელს მასწავლებელთა მეთოდური თათბირების ძირითადი მიზანია აქტიურად დარაზმოს მასწავლებლობა იმ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის გარშემო, რომლებიც დააყენეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ და სრულიად საკავშირო მე-18 კონფერენციამ განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე.

მასწავლებელთა რაიონულ თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლების, რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების, სასწავლო დისციპლინების სწავლების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან და ქალაქის წარმოებასთან დაკავშირებისა და თვალსაჩინო სწავლების საქმის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვას.

თათბირების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებების გამგეებმა ჩაატარონ მასწავლებელთა რაიონული თათბირები **25—27 აგვისტოს** ფარგლებში.

2. 1941/42 სასწავლო წლის დაწყების წინ მასწავლებელთა რაიონული თათბირების პლენარულ სხდომებზე განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

ა) სასწავლო დისციპლინების სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირების შესახებ საქ. სსრ განსახკომის 1940 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებისა და კოლეგიის 1941 წლის 7 მარტის დადგენილების შესრულების მდგომარეობა და ამოცანები.

ბ) მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულება და მომავალი ამოცანები.

დ) არარუსულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

3. აღნიშნულ საკითხებზე მოხსენებით გამოვლენ განათლების განყოფილების გამგე და სასკოლო ინსპექტორი: თანამომხსენებლად მოწვეულ 2-3 სკოლის დირექტორი და მასწავლებელი.

4. პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ ჩატარდეს ცალკე კლასებისა და სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა სექციების მუშაობა შემდეგი წესრიგით:

ა) დაწყებითი სკოლის I-IV კლასების მასწავლებელთა სექციაზე მოსმენილ იქნას მოწვეულ მასწავლებელთა მოხსენებანი ქარ-

თული ენისა და არითმეტიკის სწავლების საკითხებზე.

ბ) მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციებზე — მასწავლებელთა მოხსენებანი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების საკითხებზე.

გ) არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის და არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სექციებზე მოსმენილ იქნას მოხსენებანი ლექსიკური გაკვეთილების, წერითი მუშაობის დაყენებისა და გასწორების შესახებ.

დ) უცხო ენების მასწავლებელთა სექციაზე მოსმენილ იქნას მოწინავე მასწავლებელთა მოხსენებანი უცხო ენის სწავლების მდგომარეობისა და მომავალი წლის ამოცანების შესახებ.

შენიშვნა: უცხო ენის ის მასწავლებლები, რომლებიც ძირითადად სხვა საგნის მასწავლებლები არიან. ხოლო უცხო ენას ასწავლიან შეთავსებით, ვალდებული არიან დაესწრონ ამ სექციის სხდომებს (შეუძლიათ არ დაესწრონ ძირითადი საგნის სექციის სხდომას).

ე) მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის და გეოგრაფიის მასწავლებელთა სექციებზე მოსმენილ იქნას მოწინავე მასწავლებელთა მოხსენებანი ამ დასციპლინების სწავლების სასოფლო-სამეურნო პრაქტიკასთან და ქალაქის წარმოებასთან დაკავშირებისა და სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების საკითხთა შესახებ.

ვ) ისტორიის მასწავლებელთა სექციაზე განხილულ იქნას მოხსენებანი ახალი სახელმძღვანელოებით მუშაობის საკითხებზე.

ზ) ხატვისა და მუსიკის მასწავლებელთა სექციებზე მოსმენილ იქნას გამოცდილი მასწავლებლების მოხსენებანი ხატვისა და მუსიკის სწავლების ძირითადი საკითხების გარშემო.

ი) ფიზკულტურის მასწავლებელთა სექციაზე მოსმენილ იქნას მოხსენება ჩატარებული მუშაობის შედეგებისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

კ) ასევე, სამხედრო საქმის მასწავლებელთა სექციაზე მოსმენილ უნდა იქნას მოხსენება ჩატარებული მუშაობისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა და ინსპექტორებმა თავიანთ მოხსენებაში ფართოდ გააშუქონ მეტყველების კულტურის გაუმჯობესებისა, სწავლების პრაქტიკასთან დაკავშირებისა და რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ განსახკომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა და დაუსახონ მასწავლებლებს პრაქტიკული ამოცანები შემდგომ მუშაობისათვის.

6. დირექტორების, გამგეების და მასწავლებლების თანამოხსენებანი აგებულ იქნას სკოლებში 1940/41 წელს ჩატარებული მუშაობის გამოცდილების საფუძველზე, გამოყენებულ იქნას საუკეთესო სკოლისა და მასწავლებლის ნამუშევრები, მეთოდური კონფერენციების მასალები, მეთოდური თათბირების ოქმები და სხვ.

7. მასწავლებელთა თათბირებზე განათლების განყოფილების მოხსენებისა და თანამოხსენების განხილვის შედეგად მიღებულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი 1941/42 სასწავლო წლის სწავლა-აღზრდის საქმის საათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

8. მასწავლებელთა რაიონული თათბირების მომზადებულად ჩატარებისათვის განათლების განყოფილებათა გამგეებმა მოიწვიონ დირექტორების, გამგეებისა და მასწავლებელთა აქტივის თათბირი, განიხილონ თათბირის დღისწესრიგი, დაამტკიცონ თანამომხსენებლები და გაუწიონ მათ სათანადო კონსულტაცია თათბირებზე მომზადებულად გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

9. რაიპედკაბინეტების გამგეებმა მომხსენებლად გამოყოფილ დირექტორებს, გამგეებს და მასწავლებლებს გაუწიონ დახმარება მოხსენებათა თემების შერჩევისა და ამ თემების დამუშავებისათვის სათანადო ლიტერატურის გამონახვის საქმეში.

10. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს:

ა) მასწავლებელთა თათბირებთან დაკავ-

შირებით მიავლინოს მეთოდისტები კონსულტაციების ჩასატარებლად.

ბ) უზრუნველჰყოს საუკეთესო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, გამოფენაზე წარმოდგენილ იქნას ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით საუკეთესო ნიმუშები, გაკვეთილების ცხრილი, სკოლის საალმზრდელო გეგმები, გაკვეთილების გეგმები, მოსწავლეთა საუკეთესოდ შესრულებული წერითი ნამუშევრები, დღიურები, მეთოდური ბროშურები, წიგნები და სხვ.

11. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან ერთად დაამუშაოს და გამოუშვას მასწავლებელთა თათბირების ორგანიზებულად ჩატარებისა და ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების დაყენების შესახებ საინსტრუქციო-მეთოდური ხასიათის წერილები.

12. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა გამოაქვეყნონ მასწავლებელთა თათბირებისათვის ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების შესახებ მეთოდური წერილები.

13. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ 10 აგვისტომდე შეარჩიოს მასწავლებელთა თათბირების ხელმძღვანელობის გასაწევად რაიონებში მისავლინებელი ინსპექტორ-მეთოდისტები და წარმომიდგინოს დასამტკიცებლად.

14. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მასწავლებელთა თათბირების ანგარიშები განსახკომს წარმოუდგინონ 5/IX-მდე.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 19 ივნისის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

კ ო ნ კ უ რ ს ი

III და IV კლასებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენაზე

1941 წ. 20 ივნისი.

1. „მოსწავლეთა მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1941 წ. 1 აპრილის დადგენილების შესაბამისად გამოცხადდეს კონკურსი დაწყებითი სკოლის III-IV კლასებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენაზე.

2. საკონკურსოდ წარმოდგენილი სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) სისრულით უნდა იყოს გარჩეული III-IV კლასების ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

ბ) თითოეულ საკითხთან უნდა იყოს მოცემული სათანადო სავარჯიშო მასალა მეტყველების განვითარებისა და მართლწერისათვის.

გ) სახელმძღვანელოს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ ფურცელს (ფორმას).

3. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად (ავტორთა ჯგუფებს, ინსტიტუტებს).

4. საკონკურსოდ წარმოდგენილ სახელმძღვანელოზე დაწესდეს სამი პრემია:

I პრემია — 7000 მან.

II პრემია — 5000 მან.

III პრემია — 3000 მან.

შენიშვნა: ჟიურის მიერ დასაბეჭდად მიღებული შრომის ავტორს, გარ-

და პრემიისა, ჰონორარი მიეცემა საერთო წესით.

5. სახელმძღვანელო კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას დევიზით, ყდაზე წარწერით — „კონკურსისათვის“.

6. საკონკურსო სახელმძღვანელო წარმოდგენილ უნდა იქნას განათლების სახალხო კომისარიატში (თბილისი, მთავრობის სასახლე) III-IV კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოს კონკურსის ჟიურის თავმჯდომარის სახელზე.

7. საკონკურსო სახელმძღვანელო წარმოდგენილ უნდა იქნას 1942 წლის 30 აპრილამდე.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი ბ. კიკნაძე

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახკომმებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას, ყველა საქალაქო და რაიონულ განათლების განყოფილებათა გამგეებს, დაწყებითი, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლის დირექტორებს (გამგეებს)

ჩატარებულმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ ზოგიერთი მიღწევის მიუხედავად ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას. სკოლაში ჩასაბმელ ბავშვთა აღრიცხვა რაიონების უმეტეს ნაწილში სუსტად მიმდინარეობს (ადიგენის, ასპინძის, ქვემო-სვანეთის, საჩხერის და სხვ.). ასეთივე მდგომარეობაა სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთების საქმეში. ასე, მაგალითად, ჩხარის რაიონში 20 მაისისათვის სკოლების დირექტორებმა და გამგეებმა არ იცოდნენ სკოლების რემონტისა და ინვენტარის შეძენა-შეკეთებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების რაოდენობა.

ჩოხატაურის რაიონში 30 მაისისათვის არცერთი სკოლა არ იყო მომარაგებული საშენი მასალით და არც მუშაობა იყო დაწყებული ამ მიმართულებით. ამავე რაიონში ამ დროისათვის არც ახალი მერხების, დაფებისა და მაგიდების დაკვეთა იყო მიცემული. სასწავლო წლისათვის მზადებას დღემდე არ შედგომია ამბროლაურის რაიონის ქვედა-ღვარდიის, მუხლის, I და II ტოლის დაწყებითი სკოლები. ქ. ქუთაისში რემონტი უნდა გაუკეთდეს 9 სასკოლო შენობას და შეძენილი უნდა იქნას 350 მერხი. დღემდე რემონტი არცერთ სკოლაში არ დაწყებულა და არცერთი მერხი არ არის დამზადებული. ინვენტარის შეძენა-შეკეთებისათვის გათვალისწინებულ 40.000 მანეთიდან, დღემდე ათვისებულია მხოლოდ 5.000 მანეთი.

თელავის რაიონის ზემოალვანისა და ზოგ სხვა სკოლაში ჯერ სასკოლო შენობის და ინვენტარის შეკეთება არ დაწყებულა. ორჯონიკიძის სახელობის რაიონში (ხარაგაული) სკოლების რემონტისათვის ჯერ თანხა სრულებით არ არის გადარიცხული სკოლებისათვის.

ზოგიერთ რაიონში (ხობი, ჭიათურა, სამტრედია, ლაგოდეხი, გურჯაანი, სიღნაღი, გეგეჭკორი და სხვ.) სკოლების ბიბლიოთეკებით მომარაგების საქმეში სრულ დაუდევრობას იჩენენ, ამ მიზნისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ მთელს თანხაზე არ აფორმებენ ხელშეკრულებას სახელგამის ბიბკოლექტორთან. ასე, მაგალითად, ლაგოდეხის რაიონმა ნაცვლად 23.500 მან. ხელშეკრულება 15.000 მანეთზე გააფორმა, ასევე, გურჯაანის რაიონმა 32.700 მანეთის ნაცვლად ხელშეკრულება გააფორმა 15.000 მან. ხოლო ხობის რაიონმა 12.800 მანეთიდან ხელშეკრულება მხოლოდ 4000 მანეთზე გააფორმა. ამას შედეგად მოსდევს ბიბლიოთეკის შესაძენად გათვალისწინებული თანხების აუთვისებლობა ან გადახარჯვა.

ზოგიერთ რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ნახმარი-სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმე. ჯავის რაიონში 1-ივნისისათვის სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა შესრულებულია 45%. ქ. თბილისის სკოლებში I-III კლასების რუ-

სული სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა შესრულებულია— 63%, აზერბაიჯანულისა— 82%, ორჯონიკიძის სახ. რაიონში სახელმძღვანელოთა შესყიდვის გეგმა 20% არის შესრულებული. თელავის რაიონში დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმა არ არის შესრულებული. ცუდად მიმდინარეობს მე-5—10 კლასების სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმე სტალინირის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში.

მრავალ რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კაბინეტებითა და ხელსაწყო-იარაღებით სკოლების მომარაგება. მაგალითად, საჩხერის რაიონში 25 მაისისათვის არ იყო შედგენილი სკოლების კაბინეტების მომარაგების გეგმა. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, სახელგამთან კაბინეტებისა და ხელსაწყო-იარაღების შეძენაზე ხელშეკრულება არ გაუფორმებია ზუგდიდის, გეგეჭკორის, ბოგდანოვკის, ვანის, ლაგოდეხისა და ლიუქსემბურგის რაიონებს, რაც ძალზე აფერხებს სკოლების ხელსაწყო იარაღებით დაკომპლექტების საქმეს.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ განათლების განყოფილებათა მუშაკები და სკოლების დირექტორები და გამგეები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს და მუშაობის დაწყებას პრაქტიკულად აჭიანურებენ.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განათლების სახალხო კომისარიატი გავალებთ:

1. დროულად იქნას დამთავრებული სკოლებში ახლად ჩასაბმელ და განთესილ ბავშვთა აღრიცხვა ცალკე სკოლების სამოქმედო უბნების მიხედვით, მთლიანად იქნეს ჩაბმული პირველ კლასებში 1933-სა და წინაწლებში დაბადებული ბავშვები, ხოლო მე-2-ე კლასებში კი წინაწლებში სკოლებიდან განთესილი სკოლის ასაკის ყველა ბავშვი. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მტკიცე კონტროლი დააწესონ და არ დაუშვან 1934 და შემდგომ წლებში დაბადებული ბავშვების ჩაბმა პირველ კლასებში.

2. სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება დაწყებული იქნას დაუყოვნებლივ. განათლების განყოფილებებმა უზრუნველჰყონ სასკოლო შენობების და ინვენტარის რემონტისათვის გათვალისწინებული თანხების დროულად გადარიცხვა სკოლებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რემონტის ხარისხს.

3. დროულად იქნას დადებული ხელშეკრულებანი სათანადო ორგანიზაციებთან ახალ სასკოლო ინვენტარის შეძენაზე და თითოეული სკოლა, რომლის ახალ ინვენტარით შევსებაა გათვალისწინებული 15 აგვისტომდე იქნას უზრუნველყოფილი მერხებით, დაფებით, კარადებით და სხვა მოწყობილობით.

4. ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, ვანის, ზუგდიდის, ლაგოდეხის და ლიუქსენბურგის განათლების განყოფილებათა გამგეებმა 5 დღის ვადაში დასდონ ხელშეკრულება სახელგამთან კაბინეტისა და ხელსაწყო იარაღების შეძენაზე.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პირადი პასუხის მგებლობით უზრუნველჰყონ კაბინეტ - ლაბორატორიებისათვის გათვალისწინებული თანხების დროულად გადარიცხვა სახელგამისათვის, ხოლო სახელგამის თვალსაჩინო-ხელსაწყოების განყოფილებამ უზრუნველჰყოს დაკვეთის მიხედვით სკოლებისათვის კაბინეტების გადაგზავნა.

6. აღკვეთილი იქნას სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის გათვალისწინებული თანხების არა დანიშნულების მიხედვით გამოყენება, გადასინჯულ იქნას ხელშეკრულებანი ბიბლიოლექტორთან და დამატებით გაფორმდეს ხელშეკრულება დარჩენილ თანხებზე მთლიანად.

7. იმ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სადაც 1-ლ სექტემბრიდან გათვალისწინებულია ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიების ჩამოყალიბება, ამ თავითვე შეარჩიონ ლაბორატორიისათვის სათანადო ბინა და შექმნან ყველა საჭირო პირობა ლაბორატორიის ნორმალური მუშაობისათვის.

8. განათლების განყოფილებებმა გააძლიერონ ზედამხედველობა სკოლებზე და სასწავლო წლის დამთავრებამდე უზრუნველჰყონ ნახმარი, სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის მთლიანად შესრულება.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი მოსმენილ იქნება ა/წ 30 ივნისის სხდომაზე.

განათლების სახალხო კომისარიატი გაფრთხილებთ, რომ განათლების განყოფილებებისა და სკოლების იმ მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც უმოკლეს ვადაში არ გამოასწორებენ ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო მზადების საქმეში არსებულ ჩამორჩენებს, იქნება მიღებული სათანადო ზომები.

საფუძველი: სსრ განსახკომის კოლეგიის 1941 წლის 13-ივნისის დადგენილება.

საქ. სსრ განსახკომის სახალხო
კომისარი ბ. კიკნაძე

1941 წლ. 14 ივნისი

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების — კულტურის სახლის, კლუბის, ქოხ-სამკითხველოს, ბიბლიოთეკის და მუზეუმის ყველა მუშაკს

კაციჭამია გერმანელ ფაშისტთა მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე, რაც 22 ივნისს დაიწყო, გრძელდება.

„ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ცბიერ მტერთან — გერმანიის ფაშიზმთან. ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. წითელი არმია და წითელი ფლოტი, სძლევენ რა მრავალ სიძნელეს, თავგანწირვით იბრძვიან თითოეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის“ (სტალინი).

ამ ბრძოლაში გმირულ წითელ არმიასთან ერთად არის ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის გარშემო მტკიცედ დარაზმული მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, კაცი და ქალი, რომლებიც, უჩვეულო პატრიოტული ერთსულოვნებით აღსავსენი, ისწრაფვიან სამუდამოდ გასრისონ საზიზღარი მტერი — ფაშისტი ყაჩაღები და კაციჭამიები.

ჩვენი სამშობლოსათვის შექმნილ სერიოზულ საფრთხესთან დაკავშირებით „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს“ (სტალინი).

პოლიტგანდაწესებულებებმა, რომელთაც ენიჭებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის კერებს, დღეს თავდადებით უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ დიდი სტალინის მიერ დასმული ისტორიული ამოცანა—ყველაფრის ფრონტის ინტერესებისათვის დამორჩილების შესახებ.

ახლა, როგორც არასოდეს, საჭიროა, რომ პოლიტგანმუშაკებმა და პოლიტგანდაწესებულებათა გარშემო შემოკრებილმა აქტივისტებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ხელი შეუწყონ მასების პატრიოტული ენტუზიაზმის შემდგომ გაღვივებას და უდიდესი ენერგიით გაშალონ მოსახლეობაში ყოველდღიური მასობრივ-თავდაცვითი მუშაობა.

სამხედრო-თავდაცვითი საკითხებმა ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავონ პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობაში. სოციალისტური სამშობლოს დაცვის, მისი სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების, რევოლუციური სიფხიზლის შემდგომი ამაღლების სულით უნდა გაჟღინთონ მათ ყველა თავისი მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიება.

პოლიტგანდაწესებულებებმა კიდევ უფრო

უნდა გააძლიერონ ყოველდღიური მასობრივი და ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რაშიაც გამოყენებული უნდა იქნეს გაზეთი, ჟურნალი და წიგნი. პოლიტგანდაწესებულებათა და მათი მუშაკების მოვალეობას შეადგენს გააცნონ მოსახლეობას თითოეული საგაზეთო ინფორმაცია, დადგენილება და ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიმართულია სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, ვერაგი მტრების გასანადგურებლად. მშრომელ მოსახლეობას უნდა გავაცნოთ ჩვენი ხალხის გმირული წარსული, მისი თავდადებული ბრძოლა სამშობლოსათვის, უნდა გავაცნოთ უამრავი ეპიზოდები სახელოვანი წითელარმიელების, ტანკისტების, მფრინავ-შევარდნების, მეზღვაურთა ლეგენდარული გმირობისა პირსისხლიან გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში. ამ საქმიანობაში მთელი მოცულობით უნდა გამოვიყენოთ აგიტაციის ისეთი ძლიერი საშუალებანი, როგორიცაა ლოზუნგი, პლაკატი, ძირეული პრესა, კინო, რადიო.

ქვეყნის თავდაცვის ამოცანათა სიმაღლეზე უნდა იქნეს აყვანილი ბრძოლა სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო გეგმების შესრულებისათვის. თითოეულმა ქოხ-სამკითხველომ, კლუბმა, ბიბლიოთეკამ ხელი უნდა შეუწყოს მშრომელთა მთელი ენერგიის მობილიზებას მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის, სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვადამდე ჩაბარებისათვის.

ფართოდ უნდა გაიშალოს აგიტაცია სოფლის მეურნეობის სამუშაოებში შრომის უნარის მქონე ყველა კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალის, მოსამსახურეთა და სხვათა მონაწილეობის შესახებ.

ფართოდ უნდა გაიშალოს აგროტექპროპაგანდა ქალთა შორის, რომლებიც სოფლის მეურნეობაში სცვლიან წითელ არმიაში წასულ მამებს, ძმებსა და ქმრებს.

კოლმეურნეობებსა და საწარმოებში ქალთა შრომის მაქსიმალური ეფექტიურობით გამოყენების მიზნით საჭიროა პოლიტგანდაწესებულებებთან მოეწყოს ბავშვთა ოთახები.

ბიბლიოთეკებმა და საკლუბო დაწესებულებებმა უნდა გაშალონ მუშაობა საბჭოთა-თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდისათვის, მისი მასებში გატანისათვის. მოაწყონ სამხედრო-თავდაცვითი და ანტიფაშისტური წიგნის ვიტრინები, აგრეთვე გამოფენები შემდეგ თემებზე: „გერმანელ ოკუპანტების განადგურება 1918 წ.“, „ბრძოლა ფაშისტურ ბარბაროსებთან“, „1812 წლის სამამულო ომი“ და სხვ. მათ ფართოდ უნდა გაშალონ საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა ანტიფაშისტური ლიტერატურის დარგში, მოაწყონ სამხედრო-თავდაცვითი და ანტიფაშისტური ლიტერატურის მოძრადები კოლმეურნეობების მომსახურებისათვის.

მუზეუმებმა თავიანთი ექსპოზიციები უნდა მიუძღვნან საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ამოცანათა პროპაგანდას. ამ ექსპოზიციებმა უნდა ასახონ გერმანელ-ფაშისტური ყაჩაღების თავდასხმის საპასუხოდ აზვირთებული საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმის ტალღა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბოლშევიკური მზადყოფნა ფრონტზე მტრის დაუნდობლად განადგურებისათვის და ზურგის დასაცავად. მუზეუმებმა უნდა უჩვენონ მოსახლეობას ჩვენი ხალხის გმირული წარსული და მისი თანამედროვე თავდაცვითი ძლიერება, უჩვენონ დაუღალავი შრომით მოპოვებული საწარმოო წარმატებანი, შრომის გმირები და მტრის გამანადგურებელი საბჭოთა მამაცი მებრძოლნი.

კულტურის სახლებმა, სარაიონო, სასოფლო და საკოლმეურნეო კლუბებმა, ქოხ-სამკითხველოებმა უნდა მოაწყონ თავდაცვითი, სამხედრო და ანტიფაშისტური ფილმების დემონსტრირება და აგრეთვე ჩაატარონ ლექციები ამ თემებზე.

პოლიტგანმუშაკები მაღალხარისხოვნად უნდა დაეუფლონ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის წესებს და ხელი შეუწყონ საჰაერო, ქიმიური და სანიტარული თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადებას. ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა საკლუბო დაწესებულებებთან სამხედრო წრეების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობის გაძლიერებისათვის.

მთელი ეს მუშაობა პოლიტგანდაწესებულებებმა უნდა ჩაატარონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, კომკავშირის დახმარებით. ამ საქმეში მათ ფართოდ უნდა ჩააბან სოფლის ინტელიგენციისა და მოწინავე კოლმეურნეების ფართო აქტივი.

ეჭვს გარეშეა, რომ პოლიტგანმუშაკები, რომელთაც მთელი სიღრმით აქვთ შეგნებული ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ წარმოებული სამამულო ომის ისტორიული მნიშვნელობა, ღირსეულად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ საპატიო ამოცანებს.

საქ. სსრ განათ სახ. კომისარი ბ. კიკნაძე.

4 ივლისი 1941 წ.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახ. კომეებს, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქისა და ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებს.

საქართველოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტების თავმჯდომარეებს.

„ომიანობის დროს მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო დროს რეჟიმის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საქ. სსრ განსახკომი და კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი გავალებთ:

1. დაუყოვნებლივ გაუქმოთ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების (კულტურის სახლების, სარაიონო და სასოფლო კლუბების, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების) მუშაკების მორიგი და დამატებითი შვებულებები, ხოლო შვებულებაში მყოფი მუშაკები დაუყოვნებლივ იქნან გამოძახებული თავიანთ სამუშაო ადგილებზე. შვებულების ნაცვლად მუშაკებს უნდა მიეცეს ფულადი კომპენსაცია ამა თუ იმ მუშაკის სამუშაო წლის უკანასკნელი თვის დამლევს.

2. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებს შეიძლება მიეცეს შვებულება მხოლოდ ავადმყოფობის შემთხვევაში, ხოლო ორსულობისა და მშობიარობის დროს სსრკ სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და საკ. პროფსაბჭოს 1938 წლის 28—დეკემბრის დადგენილების მე-16 მუხლის შესაბამისად.

3. მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის სამხედრო სამსახურში გაწვეულთა თანამდებობაზე დაუყოვნებლივ დანიშნულ იქნან სხვა მუშაკები.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე

მ. ბურჭულაძე

საქ. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა რესპ. კომიტეტის თავმჯდომარე ს. მამისეიშვილი

1941 წ. 5 ივლისი.

ბრძანება № 2075

განათლების სახალხო კომისარიატი სადმი

1941 წ. „30“ ივნისი

წითელი არმიის ახალი მომზადებული მცოდნე კადრებით შევსების მიზნით ვბრძანებ:

1. განათლების განყოფილების გამგეებმა 10 ივლისამდე პირადად აღრიცხონ მათი რაიონის ტერიტორიაზე მყოფი 1923, 1924 და 1925 წლებში დაბადებული წერაკითხვის უცოდინარი, მცირემცოდნე და რუსული ენის არამცოდნე ახალგაზრდები და 15 ივლისამდე მოაწყონ მათთვის კლასები და ჯგუფები.

2. ამ ჯგუფებისა და კლასებისათვის შერჩეულ იქნან მაღალკვალიფიციური და საქმის მოყვარული მასწავლებლები. ჯგუფები და კლასები უზრუნველყონ შესაფერის

ბინით, მოსწავლეები კი სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთებით.

3. აღნიშნულ ჯგუფებში და კლასებში მეცადინეობის დაწყების პირველ დღედ დაწესდეს 21 ივლისი, ხოლო მეცადინეობა დასრულდეს შემდეგ ვადებში: წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში 25 ოქტომბერს, მცირემცოდნეობის სალიკვ: სკოლებში 25 ნოემბერს და რუსული ენის სკოლებში 1942 წლის 20 იანვარს.

4. ვავალებ განათლების განყოფილებათა გამგეებს სკოლების მუშაობის ანგარიში წარმოუდგინონ განსახკომს თვეში ორჯერ 15 და 30 რიცხვში.

5. ვავალებ მოზრდილთა განათლების სამმართველოს უფროსს დააწესოს მტკიცე კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე და ყოველთვის 20-სა და 5 რიცხვში პირადად მომახსენოს შედეგი, რომ თავის დროზე მიღებულ იქნეს სათანადო ზომები იმ განათლების განყოფილებათა გამგეების მიმართ, რომელნიც ამ მუშაობას არ დაუყენებენ სათანადო სიმაღლეზე.

6. სახელგამმა უზრუნველჰყოს რაიონის განათლების განყოფილებები საჭირო სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით მოზრდილთა განათლების სამმართველოს საგამომცემლო გეგმის მიხედვით.

7. განათლების განყოფილების გამგეებმა უზრუნველჰყონ სკოლებში სწავლების მაღალი ხარისხი და განამტკიცონ მეთოდური ხელმძღვანელობა.

8. 10 აგვისტოს განსახკომის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნას 5 რაიონის (მოზრდილთა განათლების სამმართველოს შერჩევით) განათლების განყოფილების გამგის მოხსენება მუშაობის მიმდინარეობაზე.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის

მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წ. 20/VIII ფორმატი 8×12
ქაღალდის ზომა 72×105 ფორმათა რაოდენობა 1½. სასტამბო ნიშანთა რაოდენობა ფორმაში 80.000.
ტირაჟი 3000, შეკვეთა № 2162 УЕ34673
სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკასი", რუსთაველის პრ., 36.
Тип. „Заря Востока". Тбилиси, Руставели, 36. Заказ № 2162. Тираж 3000

Сборник приказов и распоряжений на груз. языке НКПроса ГССР. № 6—7
5-ый год издания.